# ცნობის ფურცელი

№ 1960 | ორშაბათი, 21 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გაზეთი | № 1960

ბაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წლის

## „საქართველოს კალენდარი"

მ. გუნიასი

გამოც. „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებისა"

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

**მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად შემდეგის პირობებით:**
კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან. 1/2 გვ.—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მან., 1/2 გვ.—4 მან., 1/4 გვ.—2 მან., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მანეთი.

**განცხადება მიიღება:**
**ტფილისში**—ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში.
**ქუთაისში**—ვ. ბეჟანეიშვილთან და მიტ. ლალიძესთან.
**ბათუმში**—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.
ნოემბერშივე გამოვა ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგად. გამოც. **ჯიბის კალენდარი.** (შ. 3—2).

ერევნის მოედანი, № 3

## ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)
დასაჩუქრებული
**უმაღლესის ჯილდოებით.**

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალფეროვანი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე **ახლად გადმოღებული** სურათები საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებისა.

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უფრო გადიდებულ სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შ. რუსთაველისა**, გადმოღებული მხატვარის მუროვის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა.
ერევნის მოედანი, სახლი № 3. (3—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ბეჟუაშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე:

დილით:

**ვ. ი. ჟორდანია**—კანის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ნ. მულიძე.** ყურისა, ცხვირისა და ყელის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ბ. ნ. მაღლაკელიძე**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**მ. ძ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. კაპლანი**—საშვილოსნო (ხირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ქ. მ. ოლიფხიშვილი**—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ნ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**ნ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და ხაშარდესი 1—2 საათამდე.

**ბრ. მ. ხობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ზ. მაღლაკელიძე**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (7—)

**„ბათუმის სცენის მოყვარეთა ამხანაგობა"** გ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით და **ქართული სიმღერების მოყვარული გუნდი** გაჰმართავს ამ წლის განმავლობაში ბათუმის რკინის გზის თეატრის დარბაზში **ოთხ წარმოდგენას** კონცერტიულის განყოფილებით. წარმოდგენილი იქნება შემდეგი პიესები: ა) 31 ოქტომბერს—დრამა „მეორედ გაყმაწვილება"; ბ) 21 ნოემბერს დრამა „დამნაშავეა"; გ) 14 დეკემბერს დრამა „ბრჭყალები", და დ) 21 დეკემბერს დრამა „მეირამა". (3—2)

ექიმი

## ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

## გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—16)

ექიმი

## ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

## მაღლაკელიძე

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

## საზღვარ-გარედ

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** ვენაში ჰუნგრეთის გონვედების მინისტრი ბარონი ფეიერვარი მოვიდა. გაზეთებმა ძლივს გაიგეს მიზეზი მინისტრის მოსვლისა.

უკანასკნელ დელეგაციების დროს დაადგინეს, რომ მშვიდობიანობის დროს ჯარის რიცხვს მოემატოს. ამისათვის ყოველწელს სათადარიგო ჯარიდან დანიშნული რიცხვი ჯარის-კაცებისა ნამდვილ სამსახურში უნდა ჩაირიცხოს. ჰუნგრეთს 20 ათასი კაცი შეხვდა წილად. ამ პროექტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჰუნგრეთში. ბუდა-ფეშტის საბჭომ დაადგინა, პროტესტი გამოვაცხადოთ ამ პროექტის წინააღმდეგაო; 32 ხმოსანმა დაადგინა კიდეც, სეიმს საჩივარი წარვუდგინოთ და ვსთხოვოთ, ეს პროექტი სულაც უარ-ჰყოსო. საჩივარში ნათქვამია, ეხლა, მშვიდობიანობის დროს, რა საჭიროა, ყოველს წელს 20 ათასი კაცი ოჯახსა და საქმეს მოვაშოროთო; ამისაგან ჩვენს ქვეყანას დიდი ზარალი მოუვაო. დეპუტატმა ვაჟონიიმაც „პესტი ჰირლაპ"-ში აღტაცებული მოწოდება დაბეჭდა; საზოგადოებას სთხოვა, კანონ-პროექტს წინააღმდეგობა გაუწიეთო და მთავრობას მუქარა შეუთვალა, ოპოზიცია ობსტრუქციას გაჰმართავს, თუ მთავრობა კანონ-პროექტს უკან არ წაიღებს, ან სულ მთლად არ შესცვლისო. ოპოზიცია მართლაც ისეთ გუნებაზეა, რომ მთავრობა კარგს არ მოელის იმისაგან. ამიტომ მინისტრი ფეიერვარი იძულებული იყო ვენაში წასულიყო. იმპერატორმა მიიღო ფეირვარი და დიდხანსაც ელაპარაკა სამხედრო საქმეზე. ფეიერვარს გარდა, თათბირს მთელის იმპერიის სამხედრო მინისტრი კრიჰგამერი და ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარის მთავარ-შტაბის უფროსი ბარონი ფონ-შეკიც დაესწრნენ. ფეიერვარიმ შეატყობინა, ჰუნგრეთის ხალხი ძლიერ წინააღმდეგია პროექტისაო და მოითხოვა, უმთავრესმა სამხედრო მმართველობამ ამ საქმეზე მოლაპარაკება სხვა დროსთვის გადადოსო. ჰუნგრეთში ხალხი ისე აღელვებულია, რომ შეიძლება სამინისტროც დაეცესო. ბუდა-ფეშტში სტუდენტებმა ქუჩებში დემონსტრაციები მოახდინეს და მოითხოვეს, მთავრობა ჯარს ნუ მოუმატებსო.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 20 ოქტომბერს, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსის ალექსის მიერ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის იმპერატორის **ალექსანდრე მესამის** სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ ადიუტანტი ა. ა. ფრეზე; ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი, ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი, მთავარ მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულტან-კრიმ-გირეი, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე შესტაკოვი, გენერლობა, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი გარეშე ხალხი. წირვის შემდეგ დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სიონის საკათედრო ეკლესიის დეკანოზმა მ. მარკოზ ტყემალაძემ.

✦ **ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ:** ქალაქის საბჭომ 19 ოქტომბრის სხდომაზე ქალაქის გამგეობის წევრის ადგილზე აირჩია ვლ. ალშიბაია და ვლ. კანდელაკი.

✦ შაბათს, 19 ოქტომბერს, დილის მეთორმეტე საათზე ტფილისის მაზრის სოფელ გომბორსა და უჯარმას შუა ვიღაც ავაზაკები, რომელთა ვინაობა ჯერ არ იციან, **თავს დასცემიან ფოსტალიონს და გაუცარცვავთ.** საქმე ამნაირად ყოფილა: ტფილისიდან, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განკარგულებით, თელავს გაუგზავნიათ ფოსტალიონი ჯებეიანცი. მას თან წაუღია 8000 მან., როგორც თელავის ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეების ჯამაგირებისათვის, ისე ყოფილა კერძო პირების ფულიც. როგორც ეტყობა, ტფილისიდან თელავს ფოსტით ფულების გაგზავნა ბოროტების ჩამდენთ წინ-და-წინვე სცოდნიათ და ადრევე ფოსტის მოლოდინში ჩასაფრებულან გომბორსა და უჯარმას შუა ტყეში. 11 საათზე ავაზაკებს შეუნიშნავთ მიახლოვებული ფოსტა; შეუძახნიათ და უსროლიათ თოფები. ბერდანკის, ტყვიით იქვე მოუკლავთ ერთი სტრაჟნიკი და სასიკვდილოდ დაუჭრიათ ფოსტალიონი ჯებეიანცი. მეეტლეს შეჰშინებია, მეც არ მომკლანო, და გაქცეულა. ავაზაკებს წაუღიათ 8000 მანეთი, ხოლო დაჭრილი ჯებეიანცი და მოკლული სტრაჟნიკი გზაშივე დაუყრიათ. რამდენსამე საათის შემდეგ ამავე გზაზე გაუვლია ტფილისის სამოსამართლო პალატის ერთ მოხელეთაგანს, რომელმაც დაჭრილ ფოსტალიონის ჯებეიანცისაგან გაიგო საქმე და თავის ეტლით წაიყვანა თელავს. თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსს ეს ამბავი მაშინვე შეუტყობინებია ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სამართველოსათვის. პოლიცია, როგორც გვწერენ, ფიცხელ გამოძიებას შესდგომია ბოროტ მოქმედთა და მოტაცებულ ფულის აღმოსაჩენად. დანარჩენი დაწვრილებითი ცნობები ამ ბოროტ მოქმედების შესახებ ჯერ არ მოსულა ტფილისში.

✦ დღეს **ქალაქის საბჭოს სხდომა**, დღესასწაულის გამო, არ არის დანიშნული.

✦ გამოვიდა და გუშინ დაურიგდა ხელის მომწერთ „მოამბის" მე-IX ნომერი, შემდეგის შინაარსისა:

1) ხენთი, რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომის დროის ისტორიული რომანი რაფფისა, (თარგმანი სომხურიდან)—ბ. ქვანგუღოვისა (გაგრძელება); 2) სამნი, მ. გორკისა, თარგმანი—ბოდუმორდვინოვისა (გაგრძელება); 3) ტარას ბულბა (მოთხრობა) ნ. გოგოლისა, თარგმანი—ინ ანისა (გაგრძელება); 4) მაკბეტ—შექსპირისა (გაგრძელება); 5) უცხოეთის მიმოხილვა და 6) დამატება. საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, ფრანგულიდან ნათარგმნი—გ. დ—სა.

## რუსეთის ქრონიკა

✦ 1903 წლის თებერვალს პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის ჰომეოპატთა კრება. კრებამ, სხვათა შორის, შემდეგი საგნები უნდა განიხილოს: უმაღლეს საჰომეოპატიო სკოლისა და კათედრების დაარსება; განსაკუთრებულ ფონდის შედგენა; ამ ფონდიდან შემწეობა უნდა აღმოუჩინოს იმ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც ჰომეოპატიის შესწავლას განიზრახავენ და სხვა.

✦ სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია აარსებს ახალ სტამბას. ამ სტამბაში დაიბეჭდება ბილეთები რუსეთის ყველა რკინის გზისთვის.

✦ ტვერის საგუბერნიო ერობამ გამოაქვეყნა საყურადღებო ცნობები პირველ-დაწყებით სწავლა-განათლების შესახებ. 1868 წელს ამ გუბერნიის სამაზრო ერობებს პირველ დაწყებით სწავლა-განათლებაზე დაუხარჯნიათ სულ 33 ათასი მანეთი; 1885 წელს—198 ათასი 1894 წელს—277 ათასი, ხოლო 1901 წელს—484,339 მანეთი. კაცის თავზე 1884 წელს მოდიოდა 10 კაპეიკი, 1895 წელს—17 კაპ., ხოლო 1901 წელს—26 კაპეიკი. სულ ამ გუბერნიის სოფლებში დღეს 1,525 პირველ-დაწყებითი სკოლაა, ხოლო ქალაქებში—113 სკოლა. ერთი სკოლა მოდის 1,107 კაცზე. 1,525

სკოლიდან 773 სკოლას ერობა ინახავს; 399 სკოლა სამრევლო-საეკკლესიოა და 306—წერა-კითხვისა. წერა-კითხვის სკოლის რიცხვი თან-და-თან კლებულობს. 1898 წელს ტვერის გუბერნიაში ასეთი სკოლა იყო 512. სულ სოფლის სკოლებში სწავლობს 94.791 ბავშვი, აქედან 64.236 ვაჟია, ხოლო 30,555 ქალი. საერობო სკოლებში სწავლობს 58,721 ბავშვი.

✦ კურსკის სამაზრო ერობამ დაადგინა, ეცადოს საყოველთაო სწავლება შემოიღოს იმ დღისთვის, როდესაც 50 წელიწადი შესრულდება ბატონ-ყმობის გადავარდნიდან. ამ აზრით ყოველ წელიწადს დაარსდება ორი ახალი სკოლა. სულ საჭიროა 18 სკოლა. ამას გარდა საერობო კრებამ დაადგინა მაზრაში ტელეფონი გაიმართოს, რისთვის 10,000 მანეთი გადასდო.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობას აზრადა აქვს დეკემბრიდან ტანისამოსის ახალი ფორმა შემოიღოს ყველა უწყების მოხელეთათვის. აზრადა აქვთ ყველა უწყების მოხელეთათვის ერთ-ნაირი ფორმა შემოიღონ მეტად მცირე განსხვავებით. მუშაობისთვის შემოღებული იქნება ეგრედ წოდებული „ტუჟურკა“.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მეტად საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, შიდა რუსეთში კერძო საკუთრებას შეადგენს 95,668,432 დესეტინა. აქედან

| | | |
|---|---|---|
| თავად-აზნ. ეკუთვნის. | 65,000,000 | დესეტ. |
| ვაჭრებს „ | 13,000,000 | „ |
| გლეხებს „ | 12,577,000 | „ |
| „მეშჩანებს“ „ | 3,000,000 | „ |

## ბათუმის ქალაქის საბჭო

**14 ოქტომბერი**

ამ დღეს საბჭოს დარბაზი სავსე იყო გარეშე ხალხით. ხმოსნებმაც ბლომად მოიყარეს თავი. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი თავ. ი. ანდრონიკაშვილი. კრების დაწყებისას, თავმჯდომარის წინადადებით, ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამას წინად გარდაცვალებულის ხმოსნის დევან მჭედლიშვილის ხსოვნას. ამასთან ხმ. ნ. სახაშვილმა განაცხადა, რომ განსვენებულის შინაური საქმეები მოწყობილი ვერ დარჩა. შეიძლება, ოჯახი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდეს, ამიტომ წინადადება მისცა საბჭოს შემწეობა აღმოეჩინა განსვენებულის შვილისათვის, რომელიც ამ ჟამად მიუნჰენში სწავლობს, კრებამ ამ საქმის გადაწყვეტა გადასდო მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენამდე.

შემდეგ საბჭო მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგა. პირველად სიაში მოქცეული იყო წინა სხდომაზე გადაწყვეტილი მოხსენება ბუხჰალტერად ნამუშევის რადვილოვიჩის დაჯილდოვების შესახებ. დაჯილდოვება თვით რადვილოვიჩმა ითხოვა და გამგეობას უარის თქმა არ შეეძლო, რადგანაც მოსამსახურეთა დაჯილდოვება წასვლის დროს წესად იყო დადებული. ამ საქმემ გაჭირვებაში ჩააგდო გამგეობაც და საბჭოც,—როგორ მიეცათ ჯილდო იმისთვის, ვისაც წელიწადში ათი-ათასი მანეთი ჯამაგირი ჰქონდა. კამათმა დიდ ხანს გასტანა, ბოლოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ საქმის გადაწყვეტა გადავდოთ მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდეო და საბჭოც სიხარულით დაეთანხმა ამ აზრს.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს თექვსმეტ ხმოსნის მიერ ხელმოწერილი განცხადება. ამ ხმოსნებმა სთხოვეს საბჭოს, მადლობა გამოეცხადოს ექიმ ტრიანტაფილიდისს, ბათუმის მცხოვრებთა სასარგებლოდ გაწეულს დვაწლისათვის. განცხადებაში ნათქვამია, რომ ექიმი ტრიანტაფილიდისი ემსახურებოდა ქალაქს თითქმის უფულოდ და „ამ ბოლოს დროს იძულებული შეიქმნა თავისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო სამსახურიდან წასულიყოო“. თავმჯდომარემ, წაიკითხა რა ეს განცხადება, სთხოვა საბჭოს გამოეთქვა თავისი აზრი. საერთო დუმილი ჩამოვარდა. ყველანი ხმა-გაკმენდილნი ისხდნენ. ბოლოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ, თანახმად კანონისა, ყუთსა ვდგამ კენჭის ყრით ამ საქმის გადასაწყვეტადაო. ხმა არც ერთს ამოუღია ვინმეს. დარბაზში გაისმა მხოლოდ მდივნის ფეხის ხმა და ყუთის რახრახი. სიჩუმეში მოხდა მწვანე მაუდით გადაფარებულ ყუთში კენჭების სროლა. საბჭომ ხმის უმეტესობით უარ ჰყო მადლობის გამოცხადება. რად მოხდა ასეთი საქმეო, იკითხავს გარეშე ადამიანი. იმ პირს, რომელიც თერთმეტი წელიწადი ემსახურა ქალაქს, რატომ მადლობა მაინც არ გამოუცხადეს? ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ აქ ტრიანტაფილიდისს მადლობას გამოუცხადებდნენ, თუ ჯილდოს (600 მან.) მაინც არა მისცემდნენ, რომ ბ-ნ პალმს არ შეჰკავშირებოდა და ამ განცხადებით და მადლობის გამოთხოვებით პალმისთან ერთად არ მოინდომებინა გამგეობისათვის შეურაცხების მიყენება. განზრახვა გამოაშკარავდა და საბჭომ გამგეობის მხარი დაიჭირა. ძალიან სცდილობდა პალმი გამგეობის გაშავებას, მაგრამ საქმე ვერ წაუვიდა კარგად და გამგეობის ნაცვლად ექიმი გაშავა.

ქალაქი არ ეშვება და ისევ თხოულობს შემწეობას საპორტო კომიტეტისაგან სანავთსადგურო შემოსავლის ნაწილს ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ქუჩების შენახვისა და შეკეთებისათვის და ნავთსადგურში ნავთ-მისადგომებისათვის თხოულობს 21,005 მან. 1902 წელს საპორტო კომიტეტს არ მიუცია ქალაქისათვის 22,830 მან. და ეს ფული ქალაქმა თავის კასიდან დახარჯა; წლიურად მისასვლელ გზების ელექტრონით განათებას უნდება 34.830 მან. ასე რომ 1903 წლისათვის ქალაქი თხოულობს დარჩენილს 22,830 მან. და ახალს წლიურს ხარჯს—34,830 მან., ე. ი. სულ 57,660 მანეთი. ქალაქის საავადმყოფოს შესანახად 1903 წ.—17.300 მანეთი., შავის ჭირის დროს დანახარჯი—30.000 მან., პეტერბურგის ქუჩაზე ბეტონის მილის გასაყვანად, რათა წვიმების დროს წყალი არ გუბდებოდეს—12.725 მან. და სხვას; სულ ქალაქი თხოულობს სანავთსადგურო შემოსავლიდან 149.861 მან. 69 კაპ.

საბჭოს დადგენილების თანახმად, გამგეობამ წარადგინა პროექტი სახლების დანომრვისა და ქუჩების სახელების დასარქმელისა. წაიკითხეს გამგეობის მიერ ამისათვის შედგენილი სავალდებულო დადგენილებანი. ბოლოს საბჭომ კომისია აირჩია, რომელსაც მიანდო ქუჩების სახელების გადასინჯვა და უსახელო ქუჩებისთვის სახელების დარქმევა.

## დაბა-სოფლები

—

**ახალ-სოფელი** (გარე-კახეთი). როგორც „ცნ. ფურ.“-ს მკითხველებმა უკვე იციან, კვირას, 13 ოქტომბერს, მოჰკლეს ამავე სოფლის მღვდელი პეტრე ინაძე. მკვლელობა ჩაიდინა ამავე სოფლის გლეხმა, ვ. ნარიმანიძემ. გარემოება ამ საქმისა შემდეგია. პეტრე მღვდელი მწირველად იყო სოფელ საბუზრებში. წირვის შემდეგ სადილად უთვილა, რომელზედაც, სხვათა შორის, ნარიმანიძეც იყო მიწვეული. როდესაც სადილი გაუთავებიათ, ნარიმანიძეს მიუმართავს მღვდლისათვის და უთქვამს, გთხოვთ დედი ჩემის ჯამაგირი სამი მანეთი მომცეთო. მღვდელს მიუგია, შინ მობრძანდი და მიიღეო. მაგრამ ნარიმანიძე მაინც დაჰმუქრებია, ჩემი დანა მომცემსო, უთქვამს. ამ სიტყვებისათვის მღვდელს ყურადღებაც არ მიუქცევია. ნარიმანიძე მღვდელზე ადრე წასულა და ჩასაფრებულა იმ ადგილას, სადაც მღვდელს უნდა გაევლო. როდესაც მღვდელს გაუვლია, ნარიმანიძე გადასდგომია წინ და უთქვამს, მოიტა ჩქარა დედი ჩემის ჯამაგირიო. —ამ ჟამად ჯიბეში არა მაქვს, წავიდეთ შინ და მიიღე შენი სამი მანეთიო, უთქვამს მღვდელს, მაგრამ ნარიმანიძეს ამოუღია ხანჯალი და სამგან შიგ გულში დაუცია. მღვდელმა იქვე განუტევა სული. 15 ამ თვეს მოვიდნენ ექიმი და გამომძიებელი, გასჭრეს და სამ ალაგას აღმოუჩინეს ჭრილობა—ერთი გულში და ორიც მარცხენა იღლიაში. იგი დაასაფლავეს ამავე სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში 17 ოქტომბერს.

22 წელიწადია, რაც ინაძე ამ სოფელში მსახურებდა. მკვლელი უკვე შეიპყრეს.

პ. გოგაზიძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**19 ოქტომბერი**

**დრეზდენი.** დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დრეზდენს ჩამოვიდა.

**ლისაბონი.** როგორც იტყობინებიან, ჩემბერლენს მოუსურვებია ლორენცო მარკეზს წასვლა, თუ დარწმუნებული იქნება, რომ მას კარგად მიიღებენ პორტუგალიის ტერიტორიაზე.

**ჰელსინგფორსი.** უკვე დაიწყო მატარებლების მიმოსვლა ჰელსინგფორსისა და კარიის რკინის გზაზე.

**პეტერბურგი.** 19 ოქტომბერს შეუდგნენ ჯავშნიან გემის „სლავა“-ს შენებას და ჩაუშვეს ზღვაში სატრანსპორტო გემი „კამჩატკა“.

19 ოქტომბერს გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალ „ნაბორშჩიკ“-ისა, ა. ა. ფილიპოვის რედაქტორობით.

**20 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „გვარდიის კოსპუსის უფროსი, გვარდიის კავალერიაში ჩარიცხული, გენერალ ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე სამსახურიდან გამოირიცხება“.

— ავად-მყოფობის გამო დათხოვნილია კურსკის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გრაფი მილუტინი.

**ლონდონი.** დევეტი სამხრეთ აფრიკას ჰბრუნდება.

**ბელგრადი.** 19 ოქტომბერს სულთანმა მიიღო სერბიის ელჩი, რომელსაც სთხოვა, გარდაეცით მეფეს ჩემი გულითადი მეგობრობის გრძნობანიო.

**იალტა.** 19 ოქტომბერს ოსმალეთის ელჩები უმაღლეს საუზმეზე იქმნენ მიწვეულნი. 12 საათს ელჩები საკუთარის მემუსიკეთა დასით ლივადიას წავიდა. სასადილო ოთახის წინ დერეფანში, ხელმწიფე-იმპერატორის გამოსვლის დროს, მემუსიკეთ ჰიმნი დაუკრეს და შემდეგ საუზმის დროსაც უკრავდნენ. საღამოს დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოოზის ძემ ელჩებს სადილი გაუმართა. წინა დღით საიმპერატორო გემ „შტანდარტ“-ზე სადილი გაუმართეს ოსმალთა იმ ოფიცრებს, რომელთაც ელჩები მოიყვანეს გემით.

**პეკინი.** კორეიამ აქ თავისი მისსია დააარსა.

**სოფია.** რუშჩუკს მოგზაურობის დროს რუმინიის მეფეს გაჰყვებიან მინისტრები სტურძა და ბრატიანუ.

**პორტ-ო-პრენსი.** სან-მარკისა, ჰონაივასა და პორტ დ'ეპეს ნავთ-სადგურებს სამხედრო სალტე აჰხადეს.

**კონსტანტინეპოლი.** სერბიის ელჩმა მოაგონა სულთანს წინანდელი მოხსენება სტარო-სერბიაში ალბანელთა მიერ ძალადობის ხმარება. სულთანმა გამოაცხადა, ნაბრძანები მაქვს იქაურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საშუალება იხმარონო.

**სოფია.** გაზ. „ვეჩერნიაია პოჩტა“-მ დაბეჭდა ნამდვილი ხელთ-ნაწერი მინისტრის ლიუდსკანოვისაგან 1892 წელს ტიუფეკჩიევისათვის მიწერილ წერილისა, სადაც, ვითომ გადაკვრით, სტამბულოვის მოკვლას შეეხება.

— რუმინიის მეფე 29 ოქტომბერს მივა რუშჩუკს. მერე პლევნასაც წავა.

**პრეტორია.** მთავრობა დასთანხმდა, თავისუფალი ჯარი შეადგინოს ტრანსვაალში.

— კომისია დაინიშნა, რომელმაც სამხრეთ-აფრიკის ომისაგან დაზარალებულთ ფული უნდა დაურიგოს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**


## განცხადებანი

—

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

მიხეილის ქუჩაზე გოგილოვის შეხობაში

ტარიელ დიმიტრის ძე

**გაბუნიას და ამხანაგობას**

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—3)

საჭიროა თავისუფალი

**მიწის ნაჭერი**

ზომით 2000—2500 ოთხ-კუთხი საჟენი. იმან, ვისაც ჰსურს გაჰყიდოს მიწა, უნდა მიჰმართოს ექიმს სტეფანოვს. ამაღლების ქუჩა, კაპანაკოვის სახლი № 6. (6—4)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—21)

საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

**დ ე პ ო**

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

**მ ა ღ ა ზ ი ა**

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შეხობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—27)

**ახალი სახურავი,**

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

**ი. შელენგოვსკის**

და

**ამხანაგობისა**

ბათუმში.

დიდხან გამძლეობა და იაფი სახურავი

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში **გ. მულიარსკი**

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე** (50—46)

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)


Дозв. ценз. Тифлисъ, 20 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).